

# ახალგაზრდა ვეროელი

გაზეთი გამოდის  
1921 წლიდან

17  
იანვარი  
საბჭოთაეთი  
1991  
№ 6  
(11639)

გერმანიის  
საბჭოთაეთი

ახალგაზრდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.



ნ. ს. გორბაჩოვის ნახატი

## სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს

პატივცემულ ნიხილ სერ-  
გის ძვე!

ამა წლის 9 იანვარს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხვაობის სხდომა, რომელმაც განიხილა თქვენი 7 იანვრის ბრძანებულება „საქართველოს სს რესპუბლიკაში 1990 წლის დეკემბერში მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის გამო“.

არ შეგვიხსნის წმინდა სამართლებრივ საკითხს, — ამავე ლაპარაკია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებაში, რომელიც უარყოფს თქვენი ბრძანებულების კანონიერ ძალას, — რადგან სსრ კავშირის პრეზიდენტსაც კი არა აქვს უფლება იურიდიული ძალა წაართვას საქართველოს რესპუბლიკის კანონებს; საქართველოს ტერიტორიაზე გარდასული პერიოდში მოქმედებენ საქართველოს რესპუბლიკის კანონები, აგრეთვე სსრ კავშირის ზოგიერთი კანონი. საქართველოს კონსტიტუციის 77-ე მუხლის თანახმად სსრ კავშირის კანონებსა და რესპუბლიკის კანონებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში მოქმედებენ საქართველოს რესპუბლიკის კანონები. მაშასადამე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უფლება აქვს შეაჩეროს საქართველოს ტერიტორიაზე სსრ კავშირის კანონის ან სხვა აქტის მოქმედება.

თქვენი ბრძანებულებით გვთავაზობთ ყოფილი ოლქის ტერიტორიიდან გამოვიყვანოთ ქველა შეიარაღებული ფორმირება, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების გარდა. მაგრამ მხედველობიდან გამოვარჩა, ან ინფორმირებული არა ხართ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე, ამ ჯარების გარდა, დისლოცირებულია საბჭოთა არმიის ნაწილებიც. რა ვუყოთ? თქვენი ბრძანებულების თანახმად მათაც არა აქვთ უფლება იმყოფებოდნენ აღნიშნულ ტერიტორიაზე და იქიდან გამოეყვანილ უნდა იქნენ.

თქვენმა ბრძანებულებამ შეაძრწუნა მთელი ქართველი ხალხი, აგრეთვე რესპუბლიკის არაქართველი მოსახლეობა, უამისოლად მტკივნეულად რომ განიცდის შიდა ქართლის — ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რეგიონში მომხდარ ამბებს, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი უკანასკნელი წლების მანძილზე ექსტრემისტთა ხელში, რომლებმაც ხელმძღვანელი პოსტები დაიკავეს ოლქის ხელისუფლების ორგანიზაციაში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, გადაიტყვევეს ანტიქართული ისტერიის კერად, 1989 წლის ნოემბრიდან კი ფაქტობრივად და ოფიციალურად — დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის პლაცდარმად, რაც იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ საქართველოს რესპუბლიკას წაართვან მისი ოდინდელი ტერიტორია, რომლის შენარჩუნებისთვისაც ქართველი ხალხი 2000 წელზე მეტ ხანს იბრძოდა.

მოგვხსენებთ შიდა ქართლში ოსთა ნაწილის მათი ისტორიული სამშობლოდან — ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლების ისტორია. იცით ისიც, რომ ავტონომიური ოლქი ხელოვნურად შეიქმნა საქართველოს ინტერვენციისა და ოკუპაციის შემდეგ, რაც განხორციელდა საბჭოთა რუსეთის მაშინდელი მთავრობის ბრძანებითა და ი. სტალინისა და ს. ორჯონიძის აქტიური მონაწილეობით, რომლებიც არ მოერიდნენ იმას, რომ ოლქის საზღვრებში მოექციათ აგრეთვე ქალაქი ცხინვალი და ათობით სოფელი მკვიდრი ქართველი მოსახლეობითურთ.

„სუვერენული რესპუბლიკის“ შექმნისათვის ოსი ეროვნების ექსტრემისტთა მოქმედებას, მაშინ, როცა ასეთი არსებობს კავკასიონის ქედს გადაღმა, არ შეიძლება არ გამოეწვია ქართველი ხალხის, საქართველოს იმ ოსი მოსახლეობის უმრავლესობის ერთსულადანი წინააღმდეგობა, რომლის მეტი ნაწილი ცხოვრობს ყოფილი ოლქის ფარგლებს გარეთ.

ეგრეთ წოდებული „რესპუბლიკის“ თვითმარტვია ხელმძღვანელთა ცინიკურმა უარმა ანგარიში გაუწიონ კონსტიტუციურ საფუძვლებს, უარმა შეესრულებინათ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება, რომელმაც უკანონოდ ცნო სახალხო დემოკრატია საოლქო საბჭოს აქტი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შექმნის თაობაზე, უკიდურესად გაამწვავა პოლიტიკური ვითარება რეგიონსა და მთელ საქართველოში. ხელისუფლების საკავშირო ორგანიზებისა და პირადად თქვენი დუმბილი საზოგადოებრიობას არწმუნებდა, რომ საქართველო გადაეწყვიტა საკითხი დამოუკიდებლად, თავის სუვერენულ უფლებებზე დაყრდნობით, რომლებსაც თავხედურად ეღელავდნენ ფეხვეშე ერთი მუკა შეიარაღებული ექსტრემისტები, „სამხრეთ ოსეთის“ ხალხის თვითგამორკვევისათვის“ მებრძოლთა სამოსელში რომ არიან გამოწყობილი.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ არ არსებობს არავითარი „ოსეთის სამხრეთი“. არის მხოლოდ შიდა ქართლის რეგიონი, სადაც გარკვეული დროიდან ცხოვრობენ ჩრდილოეთ ოსეთიდან გადმოსახლებული ოსი ეროვნების პირები, რაც დამტკიცებულია ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებით. ეს ოდინდელი ქართული მიწა-წყალია, რომლის წართმევას ქართველი ხალხი არასოდეს არ შეუტრიალებდა, სანამ ცოცხლობს თვით ხალხი. არ შეიძლება გავივივლოთ შიდა ქართლის ვითარება სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ავტონომიებთან, რაც თქვენთვის რა თქმა უნდა, გასაბუთია, რამეთუ კარგად იცნობთ რუსეთის იმპერიის ისტორიას; მაგრამ სხვა რესპუბლიკების საშინაო საქმეები თვით რესპუბლიკების საქმეა.

(დასასრული მე-2 გვ.)

**საქართველოს  
უზენაესი  
საბჭოს  
პრეზიდენტის  
განცხადება**

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 13 იანვარს, თბილისში, მთავრობის სახლთან, გაიმართა ლიტველ ხალხთან სოლიდარობის მიტინგი. იმავე საღამოს რადიოსადგურმა „თავისუფლებამ“ (რუსულმა რედაქციამ), გადასცა რეპორტაჟები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში ჩატარებული ანალოგიური მიტინგების შესახებ.

თბილისიდან გადაცემულ რეპორტაჟში რადიოსადგურის კორესპონდენტი საგანგებოდ შეეხო მიტინგზე გამოსული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას სიტყვებს იმ ნაწილს, სადაც ორატორმა ილაპარაკა „ინტერფრონტთან“ თუ ცენტრის სხვა „მეხუთე კოლონებთან“ ქართველი ერის დამოკიდებულებაზე საქართველოს უზენაესი საბჭოს

პრესცენტრი უფლებამოსილია განაცხადოს, რომ რადიოსადგურის აზრი, თითქოს ბატონმა ზვიად გამსახურდიამ პირდაპირი გავებით ვისმეს „ფიზიკური განადგურებისაკენ“ მოუწოდა, მცდარია და აბსოლუტურად არ ასახავს არც უზენაესი საბჭოს და მით უმეტეს, არც მისი თავმჯდომარის პოლიტიკურ პრინციპებს.

რაც შეეხება „ინტერფრონტებსა“ და იმპერიის საშსხურში მყოფ სხვა ძალებს, რომელთა პირდაპირი „დამსახურებაა“ ვილნიუსში და ტრიალესში ტრაგედია, მსგავსი ძალების წინააღმდეგ ქართველი ხალხი მუდამ იბრძოლებს მხოლოდ პოლიტიკური შეთოდებით. ამასვე გულისხმობდა ბატონი ზვიად გამსახურდია თავის გამოსვლაში.

1991 წლის 15 იანვარი,  
უზენაესი საბჭოს პრეზიდენტი.











როგორც მოხალდენი იყო... მთავრობის მოქმედება არ იყ...

როგორცაც ახლა აწარმოებენ. ან იხე...

როგორც გამოხატოს ხალხმა თავისი...

ყოველი ნაბიჯისათვის როგორც პოლიტიკის...

ნაღვალს არ ექნება დასახული, არამედ...

ნარსული გაკეთილად ცალ-ცალკე და ერთად

ერთი პარტიის პუბლიცისტები მეორე პარტიის გამოსვლას რეაქციონულად...

კითხვით. განა აბსოლუტურად არ მიესადაგება ჩვენს დღევანდელ...

სამშუბაროდ, არ გავაჩნია. ამასთან იმ და იმდენ საკითხებს...

მივინთო მოქმედი სეპარატისტული ძალები...

ჩვენთვის ისტორიულ მომენტად შეგვიძინა პარლამენტის გარეთ...

პასუხი „ახალგაზრდა ივერიელს“ რედაქციას

თქვენი ვაზების 1990 წლის 8 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა...

ერთ მხარეს, ბატონო ონიკე გოგილაშვილის პოზიციას იცნობს...

ვერსიის იყო განაწილების გარეშე, მაგრამ ამის თაობაზე მას არაფერი...

ლი იყო სამშენებლო კონსტრუქციების დაპროექტების ცენტრალური...

მანეთი იმ ფორმალბობათა მოსაგვარებლად, რაც ჩაწერისათვის იყო...

„ახალგაზრდა ივერიელი“ 1990 წლის 27 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა...

დაბოინებული კომენტარი

ერთ გულდასანყებ ნაჩილზე

რითხულება: თითქოსდა ამ მეცნიერებმა სუბიექტური მოსაზრებების...

ის ინტერესებისათვის ზიანის მიყენება“), როგორც ალ. ონიანმა წარმოადგინა...

მაგიეროდ უდიერად მოიხსენიებს ქართული ენათმეცნიერებისა და ისტორიის კორიფებს...

ამჟამად არ გამოუდგებით ჩვენი ოპონენტის სტატიაში უხვად დაშვებულ უზუსტობებს...

განაგრძობს განცხადებებს წერა და პრესა და ტელევიზიაში მოიშველია...

